



საქართველოს  
მუშაკთა კავშირი

# თავტრი სსოპრობა




სათეატრო სალიტერატურული

1918 წ.—№ 5, ძვირა, მარტის 11

ფასი 75 კაპ.

ტელიფონი მუქუხე გამოცემის



უ  
 კრემლს წელი!  
 თუ კი რომ გიყვარს შენი სამშობლო და მის ბედ-იღბალს  
 ეთაყუ ნები!  
 თუ გხურავს ქუდი, ლაჩარი არ ხარ, სულით დაცემ ლს არ  
 ემგვანები  
 თუ კი ოღნავად ანგარიშს უწევ შენი სამშობლოს კეთილ  
 დღეობას!  
 თუ კი გრძნობ ძმაო, საშიშარ საფრთხეს და პატივსა სცემ  
 მოვლეობას,  
 თუ გიყვარს დედა, დაი ცოლშვალი, თუ გიყვარს შენი სა-  
 მშობლოს კერა!  
 მათი სიცოცხლე თუ ძვირად გიღირს, გულს გიხ ლისებს  
 იათი ცქერა,  
 მაშინ აღსდექი! ამ ყი სულით, ხელითა დე, ძმაო ფარხმალი,  
 შენი სამშუალო გიხმობს გეძხის ო მოიხალო შენ შენი ვალი!  
 სამშოგლოს შევიღნო, დაირაზმენთ, გამოდით ყველა ბრძო-  
 ლის ველოდა,  
 რომ ჩვენი კერა, ჩვენი სამშობლო მტერს არ მიუგდოთ  
 და ა ბევადა,  
 და ვა იმას ვინც ასეთ წაში გულ ხელს დაკრფეს, სხლს  
 მოუჯდა,  
 ვაი მას, ვინცა თვის ვაღს უარყოფს, ამ დროს ძმას გვერდში  
 არ მოუდ ება!  
 და მამ ფარხმალსა, მოკიდე ელი, რომ სამსხერპლოზე  
 შენც გეჯოს წლი!  
 გახსოვდეს ძმაო, დღეს დრომ გვარგუნა: ან გამარჯვება,  
 ანუ ს კვირილი!  
 დ. ჯანაშია





# ისტორიულ გზი

ხშირად იტყვიან, ხალხთა ცხოვრებაში ბევრი რამ წარსულისა მეორდება.

საქართველოს დღევანდელი ვითარება წარსულის ამბებს მოგვაგონებს.

ასოცი წლის წინად რუსეთმა საქართველო ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრია: პატარა კახი--ერეკლე მეფე ქართველი ლაშქრით ბრძოლის ველზე გაიყვანა და სწორედ უდიდეს განსაცდელის ქამს, ცხარე ბრძოლაში გართულ ქართველობას რუსთა გენერალმა ტოტლებენმა თავი მიანება--მეფე ჩემი ოსმალს მოჰპრიგებია და ჩვენ აწ ოსმალთან საომარი აღარაფერი გვაქვსო.

რა რისხვაც დაატყდა თავს საქართველოს, პატარა კახი მუხლს დაჩოქილი როგორ ევედრებოდა ტოტლებენს--თავს ნუ დამანებებო, რუსთ გენერალმა მუხანათურად როგორ აღრიკა ზურგი და ერეკლე მეფემ ერთი მუჭა ქართველებით რა ბუმბერაზობაც გამოიჩინა, ეს ისტორიას ახსოვს.

ეს იყო რუსთა და საქართველოს დამოუკიდებელ მეფეთა მეფობის ქამს, როდესაც რუსეთი სიტყვით ვითომდა მფარველობას ჰპირდებოდა, საქმით-კი ისეთ დღეში აყენებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპობილიყო და ბეჩავი ქართველი ხალხი რუსთა გათახსირებულ მოხელეთა საწველ ფურად გარდაქცეულიყო...

დღესაც, როდესაც საქართველოს საუკეთესო შვილნი რუსეთის საკეთილდღეოთ სამხედრო თუ სამოქალაქო ომში სისხლიდან იცკრიტებიან, როდესაც მთელი ჩვენი ხალხის ავლა დიდება და სიცოცხლე რუსთა ბატონობას ზვარაკად ეწირება, სწორედ ამ ქამს რუსეთის ეგრედ წოდებულმა დამოკრატებმა, ნამდვილად კი ძველის აღდგენის ხელის შემწყობმა შავბნელმა რუსეთმა საქართვე-

ლოს კიდევ ერთხელ ჩამსტავს ჩვენი დღე იმავე ოსმალეთის წინაშე დაუპირა წამოჩოქება.

რუსეთის ბოლშევიკების ქურქში გამოხვეულმა მთავრობამ გერმანიასთან ზავის შეკერის დროს ოსმალებს მიაკუთვნა ჩვენი დასავლეთ ევროპის კარი, ჩვენი მაჯვენა თვალი და ხელი ბათომი, მას მიაყოლა არტანის და ყარსი.

უხეშად წაპკრა წიხლი იმ წმიდათა წმიდას, რასაც დღე ღამ დიდის სასოვებით და ჩუმის ლოცვით ლოცულობს ყოველი ქართველი.

კარგი რამ მჭირდეს--გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. ჭეშმარიტად შეუძლიან წამოიძახოს რუსეთმა: რანაირი ქურქიც უნდა წამოიხსას,--სოციალიზმის, ინტერნაციონალიზმის, ბიუროკრატიზმის და სხ.--მაინც უეში--ბნელი ძალაა, თავის ბატონობის გარეშე სხვა არარა სწამს, იგი თითქო ან ბატონი უნდა იყოს ანუ მონა--თანასწორობა-კი მის ზუნებს არ ეგუება.

შავბნელ დროთა წყალობით დაწიწკნილა, დანაწილებული საქართველო ძლივს ერთობის გზას დაადგა-ძველი მესხეთი, შოთას სამშობლო, დღეს მუსულმანი საქართველო, ქართველი მუსულმანები, ჩვენი ძმანი აჭარელ-ქობულეთელი, ქართველი კათოლიკენი, ქართველი გრგორიანნი ქართველი ისრაელი, ქართველი პრისტიანნი და სხ. ძლივს მშობლის მკერდს დაუბრუნდნენ, ერთი ოჯახს შექმნა მოისურვეს და ნუ თუ კვლავ განვიბნევით?!

ნუ? ცა იქნება მაგრე!  
ნუ თუ ისტორიის გაკვეთილები ერთხელაც არის ჩვენ ჭკვას არ გვასწავლის, ნუ თუ ისტორიულ შეცდომებთან გამჭრიახობასაც არ გამოვჩინეთ?!

ასპინძასთან მტრს პრისპირ ობლად დაჩენილმა პატარა კახმა თავისი თანამხლე ბელ ქართველებით ძლიერი მტერი მიჰოჰტანტა და თავი გმარული სახელით





შეიმკო. ღღეს კიდევ უფრო მეტი გმირობის გამოჩენა გგმართებს. სწორეთ ასევე ყოველი ქართველის გულში, ყოველი ქვეშაირი რევოლიუციონერის არსებაში—სრულიად საქართველოს დემოკრატიის შემეცნებაში უნდა იფეთქოს ისტორიული გმირობის სულმა, შესდგეს ისტორიულ გზაზე და სამშობლო, რევოლიუცია და თავისუფლება არავის შეაღწახინოს.

არ დავივიწყოთ, რომ სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

და „სჯობს სიცოცხლე“ ა ნაძრახსა იკვდილი სახელოვანი!“  
იოსებ იმედაშვილი

**პირველი სხივი**

დილის სხევებ თ მთა ავღვარდა,  
მიწას გაეკრა თეთრი ნათელი,  
ზღვა აბობქორდა, ზღვა ამღვლვარდა,  
და გადარეცხა ძველი ნაღველა.  
ჩემი სარკველიც მყის აცმციმდა  
როს თეთრი სხივი შემოიგბარა,  
სულის სიხარული გაეხმ ურა,  
ჩანგზე სიცოცხლემ გადიხარხარა...  
„გერმტარვლიც მოადგა კარებს,  
ღსასრულივით შემოანათა.—  
ისიც იცნ ს, ისიც ხარხ რებს:  
და ჩემსკენ გრძობთ ხეოი ღმერთა...  
ოჰ, ღმერთო ჩემო! მე რას მერჩიან?  
შეშა შემოპყრო, ექვ გახშარდა,  
აღბათ მ გლოვენ, აღბათ მეტყვიან:  
„ვარდი დაღონდა, ვარდი ატრდა!“  
მაგრამ ოჰ, არ! ის აკი გახმა,  
სუსხმა ჩაჰფერფლა და დაიხრდილა,  
მარტო ვარ ახლა, მარტო ვარ ახლა,  
როს სიხარულის გათენლა დილა!  
დილის სხივებით მთა აციმციმდა,  
მიწას გაეკრა თეთრი ნათელი,  
მაგრამ სიცოცხლე კვალად ატირდა  
სულში ჩამიდგა სევდა-ნაღველი!

ღარია ახვლედიანი



**საქართველო უპასულო**

ქართულ სამუსიკო ხელოვნებას ჰყავს ერთი მესაფლავე. ეს განლავეთ ზაქარია ფალიაშვილი. არ დაწყებულა არც ერთი ეროვნული საქმე ამ დარგში, რომ ზაქ. ფალიაშვილს არ გაეთხაროს სამარე. ვინ იცის რამდენ მემუსიკეს აუტრუვა გული და აიძულა თავისი სამშობლო დაეტოვებინა. საბუთები მრავალია. და ეს ბატონი ღღეს წმოსკ-პებულა ხელოვნების სექციაში და იქიდან განაგებს ჩვენი ხელოვნების საქმეს. სასაცილოა, მკითხველო, სამწუხარო რომ არ იყოს ეს ამბავი, მაგრამ გასაკვირალი კი არაფერია: იგი აირჩია თავის წარმომადგენლად ფილარმონიულმა საზოგადოებამ, იმ საზოგადოებამ, რომლის არა ეროვნული მოღვაწეობა ყოველ შეგნებულ ქართველ გაცნობილის აქვს. ამ საზოგადოების წლიურმა კრებამ აირჩია საგანებო კომისია, რომელსაც დაევალა ამ საზოგადოების რეორგანიზაცია: გაეროვნულება და გახალხსნება. მ. გრამ ფალიაშვილისავე მეცადინეობით სხენებული კომისია არ შესდგომია თავის მუშაობას. ეს არ იქმარა ფალიაშვილმა და ქართველ მომდგრალ-მუსიკოსთა კავშირის წინააღმდეგაც გაილაშქრა.

მითხველს უკვი მოეხსენება, რომ ზემოხსენებული კავშირი დაარსდა წმინდა დემოკრატიულ პრინციპებზე და დასახა მიზნათ ეროვნულ სამუსიკო ხელოვნების სასურველ დონეზე დაყენება. სიმარალეც უნდა ითქვას ეს კავშირი შეძლების დაგვარად, ასრულებს თავის დანიშნულებას, თუმცა ფალიაშვილი და მისი დამკვირვებნი ორმოს უთხრიან ამ კავშირს. ეგ კავშირი სხვათა შორის, მდიობავს ქარ, ფილარმონიულ საზოგადოები იბ სახით, როგორც ღღეს არის, გაუქმებს, ზ. ფალიაშვილის გაძევებას არა მარტო ხელოვნების სექციიდან, არამედ ზემოხსენებულ საზოგადოებიდანაც და საზოგადოების სათავეში იმ პირთა ჩაყენებას, რომელთაც ჩვენს ეროვნულ სამუსიკო ხელოვნებასთან პირდაპირი კავშირი აქვთ: დ არაყიშვილის, ნ. ქართველიშვილისა. ყარაშვილის და სხ, რომელნიც ფალიაშვილის წყალობით ეროვნულ ხელოვნების საზოგადო ასპარეზზე მუშაობას ჩამოშორებულნი არიან.

ამას წინად თბილისის სახელმწიფო თეატრის კომისრად მოიწვიეს ჩვენში კარგათ ცნობილი მუშაკი ნ. ქართველიშვილი. მან წარადგინა თავისი მოთხოვნებიანი: თეატრში დისციპლინის შეტანა და ჯამაგირიცა ვინაიდგან სახელმწიფო თეატრის საქმის გასაძლოლათ და მოსაწესრიგებლად ცოტა დრო არ არის საჭირო., მოთხოვნებიანი ფრად საფუძკლიანი და სამართლიანია. მაგრამ ამ თანამდებობაზე უჯამაგიროდ დანიშნეს თავისივე თხოვნით სხვა პირი. უმჯობესია ჯამაგირი მიეცეს იმ კაცს, რომელსაც შეუძლიან საქმის გაძლოლა, ვიდრე მიწვეულ იქმნეს ის პირი, რომლისთვისაც ასეთი დიდი ადგილი სამქიძია. აუცილებლავ საჭიროა ნ. ქართველიშვილას მოთხოვნების ხელშეორედ გადათვალერება. ამას მოითხოვს საქმის სარგებლობა.

ს. წერეთელი





### მიორგი დალაქიშვილი

შეტად გულშემზარავი მკვლევარმა მოხდა კავკაზში, თებერვლის 19 წუთი სოფელს გამოსასლმეს თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის რწმუნებული გოგლა დალაქიშვილი.

ვინ და რა კაცი იყო იგი?

სწორად იტყვიან: პოეტები ბუნებით იბადებიანო, ასევე ითქმის გოგლა დალაქიშვილზე. მართალია იგი პოეტი არ იყო, არც მსახიობი, არც სარდალი, ხამაგიერთ იგი დიდი პრაქტიკული, ხალხისათვის თავგამოდებული მუშაკი იყო, თავისი ხან-მოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლით.

მხოლოდ ბუნება წარმოშბს ხოლმე ასეთ იშვიათ ადამიანთ...

ფრიად საყურადღებოა მისი ბიოგრაფია.

გიორგი დალაქიშვილი დაიბადა ღაზანში და სიღარიბეშივე აღიზარდა. 8 წლისა დაობლდა, დარჩა თავისი ძმის ამარა. როგორც იყო გაათავა სასულიერო სასწავლებელი და სინოდალურ კანტორაში შევიდა მოხელედ, თვეში 17—20 მან., ამავე დროს სწავლობდა თბ. მუსიკ. სასწავლებელში, სადაც დიდი უნარი გამოაჩინდა. 21 წ. შეერთდა ნადა ქუმბიშვილის ასული, რომელმაც მასზე დიდი გავლენა იქონია: ახალგაზნდა ქალი შევიდა სამსახურში, ხოლო თვით გიორგიმ წელიწად ნახევარში თვით მომზადებით გიმნაზიაში გამოცდა ჩააბარა, მიიღო სიმწიფის მოწმობა და 1909 წ. ნოვოალექსანდრიის სამეურნეო ინსტიტუტში შევიდა, სადაც 1914 წ. ჩინებულად დაასრულა კურსი. 1915 წ. დუშეთის მაზრაში გაიგზავნა საეკონომ. აგრონომად, 5 თვის შემდეგ გუბერნატორის რწმუნებულად ჩრდილო კავკასიაში პურის სასყიდლად. აქ დიდი ორგანიზაციული ნიჭი გამოიჩინა და ჩვენ გუბერნიის მილიონ ფუთობით უგზავნიდა პურსა და სიმინდს, რევოლიუცია რომ დაეწყო, გიორგი ამოირჩიეს სასურსათო კომიტეტის წევრად, და მას შემდეგ დააწვა კიხურზე მშვიერ ხალხის გამოკვება: მთელი თავისი არსებით მხოლოდ ამასვე ფიქრობდა, თუ ხალხი დაიმშა—

რევოლიუცია დაილუპებო. თებერვლის 19 კავკაზში ვიდა, აქ დიდის სიხარულით მიიღეს. აი რას იტყობოდა სიკვდილის წინა დღეებში ერთ თავის წერილში: „მოვედი თუ არა, მეორე დღესვე დაიწყეს კარის კაკუნი ჩემმა ოსებმა, ინგუშებმა, ჩეჩნებმა და ამით დაიწყო ერთგულობის დამტკიცება. პაპოვი თვალზე დაჭყეტილი გვიტყეროდა ოსეი და ინგუშები რომ იძახდნენ „შენთვის თავს გავწირავთო.“ ძალიან კარგათ შემხედნენ. წარმოიდგინე თურმე სადგურის უფროსები ერთი მეორეს ტელეფონით ატყაობენდენ დალაქიშვილი მოსულაო. დღევანდლამდის, როგორც ხატში სალოცავად, ისე მოდიან ყველა ვისთანაც კი მქონდა საქმე. იმედი მაქვს თუ რკინის გზამ არ შემიშალა ხელი და თბილისმა ტრანსპორტი მოაწყოს საქმარის ვიყიდი და გადმოგზავნი. ფასები-კი უნდა გითხრა ძალიან დიდია. სიმინდი აქ ფასობს 7-8 მანეთამდინ, ახლა გადმოტანაც ამდენივე დაჯდება... მაგრამ ფასს ვინა ჩივის ოღონდ იყოს საქმელი. სხვათაშორის ინგუშების ნაციონალურს საბჭოს მივმართე და ვსთხოვე დახმარება. რამდენათაც მართალია, არ ვიცი, მხოლოდ საბჭოს წევრმა გადმომცა: დავადგინეთ ერთი მილიონ ნახევარი სიმინდი საქართველოსთვის გადავდეთო, — რასაკვირველია გავიგებ და მოვიჭიდებო... ნეტა ხალხი თუ არ დაინახავს ღმერთი ხომ დაინახავს ჩემ შრომას და სამშობლო ხალხის სიკეთეს. მე იმედი მაქვს ხალხს თავიდან ავაშორებ სიმშლის თავის შედეგებით, ეს კი უსათუოდ საქირაა. ვეცდები კიდევ და იმედიცა მაქვს, რასაც მე გააკეთებ, სხვა ამას ვერ გააკეთებს... მე აქ დიდი საქმე მაქვს და ძალიან იზრდება.. ამ წერილს რომ ვწერ თავზე მახვევია ათი ოსი.“

როგორც შემორჩე წერილიდან სჩანს, სურსათის შოვნას დიდის მუყაითობით შეუდგა, დახმარებაც აღმოუჩინეს, ნახევარ მილიონი ფუთი სიმინდი იყიდა, ფასები დასწია, რამაც აუშხედრა სპეკულიანტები, ის ხალხი, ყოველ სანოვაგეზე რომ ფასებს განგებადიდებს მთელი ხალხის უბედურებით საკუთარ ბედნიერებას აგებს. და აი ამ ნიადაგზე თებერვლის 19 კავკაზში სასტუმრო „ვეროპაში“ ექვსი ტყვიით გაუგმირეს გული, ჯერედ ახალგაზნდას, დიდი უნარისა და ძალის ადამიანს (32 წლის იქნებოდა) და სრულიად უსახსროდ დასტოვეს მისი ახალგაზნდა მეუღლე და ერთი ასული. ქართველმა ხალხმა თავისი ნიჭის გაფურჩქვნა დაიწყო არა მხოლოდ სამხედრო, პოლიტიკურ და სამწერლო ასპარეზზე, არამედ სამოქალაქო-სამეურნეო დარგშიც და ეს მოსვენებას არ აძლევს ჩვენს შტერს.

დაე. გოგლა დალაქიშვილის სპეტაკი პიროვნება და უანგარო მოღვაწეობა სხვათა ეგალითი იყოს საუკუნოდ იყოს სხენება შენი ძმად გოგლა.

იოსებ არიმათიელ





# “ ი გ ე მ ე ”

დღევანდელი სურათი.

დიდი ხანია მას შემდეგ რაც ჩვენ სამშობლო მხარეს ასეთი ღამე არ დასდგომია.

მოწმენდილი ცა, სადაც ნახევრად მოყრილი მთვარე დანავარდობს, მოგაგონებთ დღევის შემდეგ შევხვდვას, რომლის გული მიწყნარებულა, ნაპირას ოდნავ-ღა ჩვეულგბრივ ტოკავს და გამოორიყულ თავის აქრელეებულ კენჭებს ესაღმება; ზე ცაზე მთვარის სინათლის გამო ვარსკვლავები უსიცოცხლოდ გამოიყურებიან; გარს ჩასვენებულ ღრუბლები კლდეებს ამოჰფარებიან, ვითა ბრძოლს შემდეგ მოპირდაპირე განსვენებაშია, და მომარჯვებულ ნიავს ელიან, რომ ზე სინათლეს მოეფინონ.

მიუხედავად მთვარით სინათლისა, რომლის დღღამიწის პირს ღიმილი უნდა დასთამაშებდეს იგი მშობელი მიწა შუბლშეკრული, ზე დათოვლილა, ჩადრ გადაფარებული გარდაცვლილს წააგავს, უსიცოცხლო არსებას წარმოადგენს.

ჰაერიც დამძიმებულა, თითქო დიდ ხნის ბრძოლა განუტღია და განსვენებულაო,

მდინარეც გარინდულან; არ ისმის მათი მისი შეილთა ოძრაობა; დღემდის მოუსვენარი, თითაიამო, მოურიდებლად კლაპოტის გადამღახავა ნაპირების გამაფართოებელი, წინ დამხვედრზხარ დამცემი შევიწროებულა, შეკუმშულაე ქართლის ამაყი მდინარე, აქ სადაც მთვარი; სინათლე მოფენილა, უცნაურად გაყინულას სწორედ, აი, ამ გაყინულ ადგილს შეგრეცია მომავალი, შეათვალაიერა გაყინული მდინარე და ზე შედგა ფეხი.

რა რიგ მწყინულა. — გაისმა მგზავრის სმა და ფრთხილად გადადგა ნ.ბ.ჯი; ხოლო შუა გაყინულს რო მიადგა ფეხქვეშ ყინულის ხმაურობა იგრძნო, ვითა გაყინულ სხეულის ძვლებისა როს შეინძრევა, და შიშმა გული უტაცა, წამს შესდგა.

— აქ არ ჩამიტყდეს...

წაილაპარაკა, რა და ხელი თავის ჩექმებზე, გულში გაივლოა: „— ქლამნებით უფრო ჭებუქათ არ ვიქნებოდით... —“ და მარცხენა

ხელით ზურგზე წამოკიდებული ყუთი, ხოლო მარჯვენათი თოფი, თითქო ამით სი-

ძიმის შესუსტება სურსო და ისე სწრაფად გასრილდა ყინულზე, რომ ვერ წარმოიდგენდით მის ქართლელობას, თუ არ მისგან გაგონილი კილო, რომელიც ის და შერჩენია.

გარეგნულად არა გავს ქართლელს.

ტლანქ და უშნო უყულო ფეხსაცმელით, რომელშიაც ჩაუკეცია ვიწრო შარვალი; გულშეკრულ გრძელ ფარაჯით; ზურგზე წამოკიდული ყუთით; მხარზე „შტიკიანი“-ს და თავზე „შაპკით“ წააგავს დღევანდელ „საღდათს“, რომელიც მორიდებას იწვევს.

ხოლო იგი, აი, პირდაპირ გატიღვლებულ და თეთრად, ვით სუდარში გამოხვეული სოფლის შვილია, რომლის სამის წლის შემდეგ დანახვამ გული აუტოკა და ფეხი ააჩქარებინა.

მიყურებულ რიყიან სოფლის ძაღლები აქა იქ ხანტათ ახმაუდენ; მეტად ბებიანთ ძაღლი აყუფდა და ჩვენ მგზავრ „საღდათს“ შეუტია.

— ჰაი, შე სამგლე! — დატუქსა მან. — და ხე ვერ მიცნო, — შეუბოვრად შევიდა შერღვეულ ეზოში, ვით პატრონი თავის საკუთარში და რა შენიშნა ნაკლუფანებას ღობისა წაილაპარაკა: — დახე, უჩემობა შესტყობია.

ძაღლმა მისი დატუქსვა არად მიიჩნია და, რა თოფისა მოერიდა, უკან შემოპრბენით შეუტია დაუშატიებელსა.

— აა, დახე ამ სამგლესა!.. — მოტრიალდა ლანძღვით და შესდგა. — ყურა, ყურა... — დაუძახა დაყვავებთ, რო გაახვენდა მისი სახელი ყურას სახელის გაგონებაზე ყურა შესდგა გაქიმული კუდი მოიდუნა, გაიქნ-გამოიქნია და შეხედა შიგ თვალეში; შემდეგ შესწკპუტუნა, თითქო იცნოო, მაგრამ მაინც არ მიეკარა და სახლისკენ გაქანებულმა სახმაურო ყეფა დაიწყო.

— რომ ლო ხარ! სახლიდგან გამოისმა ხმა ქალისა დარო, ფანჯრიდგან შენიშნა, შიშით წარმოსტევა: — ვაიმე ვილაცა თოფიანია...

— შე ვარ გია! — მიუგო სწრაფათ და გული აუტოკდა. — გამოიხედე, დედა, თინა!.. შე თვით, მე, გია... დახე, ამ წყეულმაც რო ვერ მიცნო?





ეროვნული  
თეატრი

მაგრამ ეხლა ტყუილად-ღა ემდუროდა  
ყურასა; ძაღლმა პატრონი იცნო და ფეხქვე-  
შაც გაუფარდა, თითქო პატიებას ემუდარე-  
ბო.

—მეც ვერ გიცანი...—გაისმა ათრთო-  
ლებული ხმა გიოს ცოლისა და კარები გაიღო.  
თოფით რო დაგინახე შემეშინდა..

—მერე, მაგრე რამ შეგაშინა?..

—რა ვიცი, ეხლა თოფით...

აქ რაღაც უნდა ეთქვა თინასა, მაგრამ  
შესდგა, აღარა სთქვა-რა და თავ ჩაღუნვით  
ხელი ჩამოართო, რომელსაც რაღაცამ გაჰკრა  
მთელი სხეული აუკანკალდა და, რო ეს დაე-  
ფრა, ხელების კანკალით ქრმის ზურგზე ყუთ  
მიაშრა.

ასეთი დახვედრა გიოს ეუცხოა. იგი გზ-  
ზე ფეხობდა: „რო დამინახევენ გამოეჩანე  
ბიან: ცოლი უღელზე ჩამომეკიდება, დღეც მო-  
მეხვევა..“

—რა დაგემართათ...—გიათ წყნით მი-  
მართა, რა შევიდა სახლში.—თითქო შენთვის  
უცხო ვიყო...

—მინც რო გამოცვილიხარ დედა გენა-  
ცვალოს, შვილო. მოდი გენაცვალე, შვილო,  
ჩაგიკრა...

—რა დაგემართა დედა, შეგეკითხა შვილი,  
რათა წევხარ?

—ცოტა უქეიფოთა ვარ, შვილო... მიუგო  
დედამ, როს იჯერა გული ალერსითა.

—გეშეიბა არა გია? ალერსიანს კილოთი  
მიმართა ცოლმა, თუმცა ამ ალერსში რაღაც  
საღუმლო ხმა ერთვა.

—ჰო, შვილო, ჰო, ნამკსავრია... მიუგო  
გიოს მაგიერ დედამთილმა.

—გაშალე სუჯრა, დაუმატა გიამა, რაც  
გაქვთ მოიტანე; მეც „სალდიკას“ დაუმატებ.

—შვილო, თინა! მიმართა დედამთილმა.  
ხომ იცი, შვილო, მანდ სათონეში „ოტკაა“  
ბოთლათი გამოიტანე, ღვინო ხომ იმ წყ...  
აქ შესდგა, თითქო ენაზე იკბინაო და გადა-  
სხვაფერა.— წყეული ჩემი მუხლები..

—ვიცი, დედა ვიცი, რძალმაც იმ დროს  
მიუგო, რომ შეგწყვიტებინა.

ამ დროს კი გია ყუთს აღებდა, რომლი-  
თაც იყო გართული და თავის ოჯახის წევრთა

უცნაურობას არ ამჩნევდა.

—მეც „სალდიკას“ გაცხსნი, სთქვა გიამ და  
ყუთიღვან თეთრი თუნუქის კოლოფი ამოიღო.  
ვახშმის შემდეგ კი კაი, კაი, საჩუქრებსაც და-  
გირიგებთ,

—მე, შვილო, უთხრა დედამა, იმითიც მად-  
ლიერი ვარ, ვენაცვლე ჩემ გერისას, რომ  
თხოვნა და ლოცვა აღმისრულა; შენი თავიც  
მშვიდობით მაჩვენა.

—სუფრა გაშლილია. გამოაცხადა თინამა,

—მეც, აი, „სალდიკა“ გაცხსენი.

—სუფრა დედას წინ ტხტხე იყო გაშლილი  
რომელსაც ვია გვერდით მოუჯდა და პური  
გასტეხა; ხოლო პირჯვარი თო არ გადწერა  
დედას ეს ეუცხოვა.

—რა კრგია, დედა, ის „სალდიკა“ წარმო-  
სთქვა გიამ და არყის გადახუხვის შემდეგ განა-  
გრძო: არა სურს მდიდრებმა ანა სკამონ  
ამისთანები ჩვენ კი გვაწყენა..

—მართლა გემრიელია გენაცვალოს დედაი.  
ნეტა კი ამ წვრილ თევზებსა ასე როგორ აგემ-  
რიელებენ? შეგეკითხა თინა,

—ქარხნებში აკეთებენ მუშები.

—თევზებს ხომ წყალში იჭერენ?

მა თევზებსაც ხომ მუშები არ გააკეთებენ?  
მერე და, შვილო, ძვირია? შეგეკითხა დედა  
ეხლა, დედა ჩემო, იაფი რა არის? შეკა  
ამაში არა მიმიცია რა.

მაშ ვინ მოგცა?

ვაჭარმა, დედა ჩემო ვაჭარმა.

მერე და უფასოთა? შეგეკითხა თინა გაკვი-  
რებით.

მაშარა და, მამა უცხონდა, „სალდათი“  
მერე და თხრილებიღვან დაბრუნებული მაგაში  
ფულს მივცემდო..

როგორ, წაართვი? ვით დაუჯერეაელი  
შეგეკითხა დედა შვილსა.

მაშ ისე რას მოგცემს ბურჟუა? მიუგო  
გიომ თამამად და თავმოწონებით განუმარტა.  
იმას აქეს, მე კი არა მაქეს აკი იმისთვის წა-  
მოგიღეო ეს თოფები, რომ ქკუ ვასწავლოთ.  
დავადეფ ეკონდას კეფაზე და, აბანუ მოგცემს?  
ტრამბოზბო ვია ცოტა არ იყვეს არყის განაც  
შეხურებული.





—როგორ?!.. გვერდებულმა დედამ წამოიძახა და გუშინდელი მუხობელთან მთავრად: „—აჰ, აჰა ჩემი შვილი“

—ჩვენ იქ თხრილებში ვისხუდით... —ბრძანებ-რეული იკონებდა გია—ბურჯები-გი აქა ქეიფობ-დენ. ჩვენ იქ მშვიდები ვიცლებოდით—ვაჭრები კი აქა მდიდრდებოდნენ...

—მაშ, შენც... შენც არბუვდი... —დედას შვი-ლისა აღარ ესმდა, ლუკმა ეელში გასხსერდა და მწარე მოგონება ასხენდებოდა. მაშ, შენც... შენც იქ არბუვდი...

—დედა-მშობელი შვილსა თვალეში ჩასტყე-როდა, რადგან მას თავის გარდელს ველაჩა სცნო-ბდა.

—თინა-გი გამოურკვევდად ხან ქმარს და ხან დედამთილს შესტყეოდა, და ამით განდდიო აგო-ნდებოდა, რის განსხებასაც ვრადებოდა; მაგრამ ვერ გაურბოდა, რადგან მისი შედეგი სხუელში ჩა-სახდა და, აი, იგი რკივ ღსა ჭკვრიდა.

—სოფო გია-გი გატაცებული პირადის უნით: მშობლის ტვიფილსა აზად იმხედა, ოჯახის გან-ცდას არ კითხულობდა. აწ წარსულს და მომავალს არ იზიარებდა.

—იმას ააქვს მე კი აჩა მატყვს...

—რატო არ უნდა მომტყვს... —შუეგებულად შთა-გონებულს იმეო ებდა. არ მომტყვს... იცი, თინა! განსხენდა ჩამოქმდარი.—ერთ ჩასუქებულს რო-დავკარი... დავადე რეკლავური შუბლებდა...

—ქა მერე და რას ვერდი?! შებრალბით შეევი-თხს თინა.—შენი რა მტერი იყო?

—ეველა მდიდარი ჩვენი მტერია... მაგრამ არ მოველი. ისე შემომხედა რო შემეცოდა... ამოიღო სავსე „ბუმა-ფიკი“ და მომტყა.

—მაშ, შენც შენც შვილი... —უცნაურის გიოს-თვის კილოთი იმეორებდა დედა და სასრწარვე-თილს სხუელი უდუნდებოდა, ვით გატეხილი წელით სავსე ნაუბი მეოფს, იმედ დაჭარტულს.

—მართლა! მართლა წამოიძახა გიომ განსხენებით იცით თქვენთვის რეები მოვიტანე?... აი, რა ამოიღო უუთიდან, თინა ეს კაბა... აქ უოველივე ტრახანით უნდა დაესურათებინა, მაგრამ შესდვა, რაც უდგი-ლო იყო გამოსტოვა... მდიდარი ოჯახის ქალი სა...

—რა კარგი რამ არის... დ რბეულის... გაცარტულის ოჯახისა... წამ...

ძის მშობელმა, რომლის გაგონებაზე თინას სუნდა თავისი თავი და, ვით დამბლა დაცემულ, კაბა ეხედიდგან გაუფრდა; გიამ-გი ეს ვერ შეამჩნია ან რას შემხედა, დედისას რას გაიკებდა შეპერ-ბილი დარბევა-გაცარტვის სხუელებითა.

ესეც შენ, დედა, შალი...

შალი?! წამოიძახა დედამ იმ კილოთი, რომელ სიც გაასხენდა განდდილი. შალი მოტაცებული, წართმეული... შენ, შენ დამრბევა... გზის პირას სოფელს შეუხვიეთ.

აჰა დედა ჩემო, ქალაქში ვაჭრის...

შენ ქალაქს... შენისთანეა სოფელს... აქ, აქ ჩვენც...

როგორ თუ აქ... წამოიძახა გიომ და შეხედა ცოლსა.

ჩვენც... ოდნავ წაილულელა თინამ და ჩაიკ-რბა.

როგორ თუ ჩვენც... განიმეორა, ვით გამო-კვეულმა, და აქედ იქით მიიხედა, თითქო ამით უნდა შეამჩნიოს, გარემოება; დედას კი ნათლად წინამოუდგა ის სურათი, რაც მის ოჯახს გადახდა და, რომელმაც დაარბა, შუერატეო, ეჩვენა შვილი. რას გვერბი.—გაიძახის გიოს მშობელი.

მეცა მეფს „საღდათი“ შვილი, ოო, შე მხეცო!.. წაიღეთ, წაიღეთ რაც გვაბადა... მაგას ნუ... მაგას ნუ... მე, მე თუნდ მონკალით, მწამეთ...

დედა, დედა... ერთ წამოიძახა თინამ და გულ წასული თილაქსზე დაეცა.

დედა, დედაჩემო, მიუახლოვდა გიომ მშობელს. რა დაკემა-რთა...

მომკალი, მომკალი. ოდნად მაგას... ემუდა-რებოდა მშობელი დედა, ვით ავაზაკს, რომელაგ მას წარმოედგინა.

დედა, ეს მე... გვერდით მოუჭდა და სცდი-ლობდა დაემშვიდებინა.—მე ვარ შენი გია...

შენ გია... დააკვირდა მშობელი და რა გამე-ერკვია, წამოიწია, ვით სულთმობრძავი, საიდუმ-ლოს გამომჟღავნებისას. შენ, შენც სომ... ეს ჩემი ცოდვის ბრალია... მაგრამ მე ის მუყარდა... ავა-ზაკი იყო... შენ იმისაგანა...

რას ამბობ... გაგიჟდი!

ეკ იყო... ქმარმაც მომიტყვა... სთქვა გიოს დედამ მომავლადგის სმითა. ესდა... ესდა კი ღატ-ვარბიეს... ძალაობა...






ეროვნული  
ბიბლიოთეკა

რას ამბობენ!.. წამოიძახა გაოცებულმა.  
 ბეჭედი... განაგრძობ შენს ბეჭედს. — ბეჭედი ვისთვის  
 წეო, მაგრამ... კბეჭედი... მაშინათ თინაზედ. — კბეჭედი  
 მაგრამ რას განდებოდა... ფინც დაგვარების იმის...  
 იმისაგან ეყოლებს...  
 ახ! — გიომ წამოიღწია და, ვით თაგში და-  
 კრძლმა, ხელი თმაში იტაცა.  
 ამ დროს მშობელს კი სული ამოვიდა.  
 თინა გულწასული ძარს ესვენა.  
 — „იგეშე?!..“  
 ეს ხმა საიდუმლო გიას მოესმა და ვით შეშ-  
 ლილი, კარში გაწარდა.

სასწავარკვეთილება

ეჭე, დაგვარგე სიყვარული, დაგვარგე ნდობა,  
 და აღარ ძალბიძს ამის შემდეგ შე ვინმეს ცნობა...  
 ეჭე, თავო ჩემო, სიყვარულით დაგულ დამწკარო,  
 ვის გაგვეწარო, ვისთან ვიყო, ვინ შევიწარო?  
 როცა ამ ქვენათ გვიმობენ შური და მტრობა,  
 როცა არ სუფევს სიყვარული, არ არის ძიობა.  
 გ. კვაცხუთელი.

ს. გლახაშვილი




კირიონ კათალიკოსი საქართველოს ეკლესიის დამოუკ. აღმ. წლის შეს. გამო  
დღეს რათ გძინავს?

დღეს რათ გძინავს შენ, ქართველო, როს სამშობლოს შეველა უნდა,  
 როს ნრავალჯერ ტანჯულს ბიდი ეხლაც შავად შეუბრუნდა?  
 დღეს რათ გძინავს როს დაგცინეს... არა გკოხხეს ნამაგდარს  
 რათ, რათ სდუმხარ როს გაგყიდეს... და გინგრევენ წმინდა ტაძარს?  
 მაშინ როცა ძალით გართმუნ შენი მშობლის მთა და ველეებს,  
 შენ გულ-გრილად უცქერ ამას... ძმის სისხლში კი იბან ხელეებს?  
 ას ჩვიდმეტი წლის მონობამ ნუ თუ ასე გამოგვივალა,  
 რ.მ ჩაგიქრო გრძნობათ ცეცხლი... ბატონს ყმურათ განაცვალა?  
 მაშ რათ გძინავს... ყურს არ ათხლვ შენი ქვეყნის მწარე ძახილს,  
 რათ არ მიხვალ ბოროტ მტერთან და არ ჩასცემ გულში მახვილს...

ლ ძიძიბური





# ბედნიერი ქალი\*

კომედია ორს მოქმედებად

თავ. გიორგი მიხეილის ძის თუმანიშვილისა

გ. მ. თუმანიშვილი

მ რ მ ძ მ ე დ ნ ი :

ფეთიანძემ მემამულე მოხუცებული კაცი სოფიო ამის ქალი

ირინე ამათი შორეული ნათესავი ღარიბი გასათხოვარი ქალი 28 წლისა

მხარგელაძე თ-დი 25 წ რუსეთში გაზდილი კობტათ მორთული იმავ სოფელში დგას რომელშიაც ფეთიანძე.

ბამბაშვილი მდიდარი ჩინოვნიკი 45 წ

მოქმედება პირველი

სცენა წარმოადგენს პატარა ოთახს, იატაკზე აგია ხალიჩა, მარჯვნივ და მარცხნივ დაწყობილია პატარა კრესლები. სტოლზე გაშლილია მდიდრულათ მოქსოვილი სუფრა. სტოლის გვერძე დივანია.

სცენა I

სოფიო და ირინე სხედან დივანზე.

ირინე ნეტავი შენ რომ თხოვდები!

სოფ. ქა, რა დასაშურია, უკბილო ბებერს მძღვევენ!

ირინე რაც უნდა იყოს, საზოგადოებაში პატივი გექნება და შინ ბატონობა. რაც უნდა

\* ეს პიესა დაწერილია 1879 წ. როცა შესდგა პირველი სამუდამო დასი და ორიგინალურ რეპერტუარს გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის პიესების მეტი არაფერი ჰქონდა. თუმცა მე თითონ ჩემს თავს დრამატურ გათ არ ვიცნობდი, მაგრამ მაინც გავბედე, რეპერტუარის სიღარიბის გამო, ისეთი პიესის დაწერა, რომელშიაც გამოყვანილი ყოფილიყო ახალი ცხოვრება და ახალი ტიპები ჩვენში.

ეს პიესი ითამაშეს დეკემბერს 1879 წ. ქართულმა არტისტებმა, — გ. აბაშიძემ (მხარგელაძე), მ. საფაროვისა — აბაშიძისამ (ირინე), კოტე მესხმა (ბამბაშვილი), ზ. მაჩაბელმა (ფეთიანძე), და საზოგადოებას ძალიან მოეწონა წარმოდგენა, რადგან ყველანი კარგათ თამაშობდნენ. მაგრამ მე თითონ დავრჩი ჩემი პიესით უკმაყოფილო და აღარ წარმოვადგენინე, თუმცა მე თვითონ ვიყავ სამუდამო დასის რეჟისორად, ამის შემდეგ ამის შემდეგ პიესა დამეკარგა და მხოლოდ ახლა ვიპოვე.

1915 წ.

გ. თუმანიშვილი

იყოს შენ შენი სახლ-კარი გექნება. თუ შენ უნდა უნდას რა შევდრება!

სიზღვიროთიქა

სოფ. ეგრე ნუ ლაპარაკობ, ირინე თუ ღმერთი გწამს. ჩენი სახლი შენი სახლია, ან შენ მითომ თავისუფალი არა ხარ! ერთ ბებერ დედის მეტი ხომ არაფერ გყავს და ისიც მხათ არის თავი შენ შემოგწიროს!

ირინე მაშ არ გცოდნია ჩემი ამბავი, მაგას რომ ამბობ. რაო? თავი შემოგწიროსო? ნე ჯავ იცოდე რა ჯოჯოხეთია ჩემთვის. ჩემი დედის სახლში, მაშინ თავის შეწირვა აღარ მოგაგონდება.

სოფ. არა ირინე, არა მჯერა რომ დედას არ უყვარდე! რისთვის უნდა თავი თუ არ შენთვის! ვილა დარჩენია ამ ქვეყანაზე?

ირინე სიყვარულიც არის და სიყვარულიც, ზოგი სიყვარული სიძულვილზე უარესია. დღე და ღამე მოსვენება არა მაქვს, სულ დამტირის: „შე საცოდავო, ოცდა ხუთი წლისა გახდი, ღარიბ-ღატაკი ხარ ვილა შეგირთავსო! მეც ბებერი ვარ, დღეს არა ხვალ გადავბრუნდები-მოვეკვდებიო, ვის უნდა მიადგე, ვინ შეგინახავსო! ეხლა ტირილსაც აღარ კმარობს, ჩაწვა ლოვინში, ავად ვარო, ვკვდებიო, წადი ნათესავებში, შენთვის ბინა მოძებნეო. ეს ნიშნავდა, წადი საქმარო მოსძებნე, და გათხოვდიო. მიკვირს ორი დღის ვადა არ დამინიშნა!

სოფ. მერე, ჩემი მდგომარეობა კი უკეთესია? მეც შენსავით მითხრა მამამ, დავიდევა გათხოვების დრო, კარგი „ჟენიხიც“ გავიჩინდა, გათხოვდი, თორემ მერე აღარავინ შეგირთავსო; დაბერდები დაქვდებიო. მამა იძახის კარგი, „ჟენიხიაო“ მაგრამ, ვინ იცის იმისთვის რომ კარგია, ჩემთვისაც იქნება კარგი თუ არა. არა მგონია, რომ ჩემთვისაც იყოს კარგი, ხანში შესული კაცია, ქალაქის თამაშობის მეტი არაფერი არ ესამოვნება. მერე ბებრებმა ხომ იქვიანობაც იციან, შინიდან კარზე აღარ გამომიშვებს.

ირინე ქალაქში იცხოვრებ

სოფ. ქალაქში ვიცხოვრებ, მაგრამ სოფელზე უარესი ცხოვრება მექნება. (იხედება ფანჯარაში) აგერ კიდევ მოცუნცულეებს მხარგელაძე. იმ უბედურს კიდევ იმედი აქვს, რომ მამა იმას მიმათხოვებს. სხვა ქალებისთვის შე-





ინახოს თავის ჭიკჭიკი და სიმღერა. მე აღარ გამოვადგები.

ირინე ეს კი მიკვირს, სოფიო, რაღას აწვალე მაგ ყმაწვილ კაცს, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ეგ შენი ქმარი არ იქნება!

სოფ. თავშიაც არ მომხვლია მაგის წვალემა. ხომ ვერ დაუშლი ჩვენსა სიარულს. ხომ ვერ ვეტყვი „ბატონო ნულარ მობრძნდებით, მე სხვა მოხოლობს, თქვენ ველარ გერგებით.“

ირინე არა, მე მარტო იმს ვამბობ, რომ უნდა გამოუცხადო შენი გათხოვება, რომ ტყუილად იმედი არა ჰქონდეს შენა და ტყუილად არ ეხრუკებოდეს. თუ შენ ვერ გაგიბედავს და გებრალემა, მე გაუხეტქავ გულს, ვეტყვი შენ ორგულობას. დუხედი კი მოამზადე, თუ გული წაუვიდა. ნახი კაცია, მეშინიან ნერვები არ დაუსუსტდეს. მაგრამ, რას ეტყვი, სოფიო? ის არც კი კადრულობს ჩენთან ლაპარაკს და ამიტომ უფრო მინდა ვაგებრაჟო, ჩაგჭრი იმის დიდ გულობს.

სოფ. რად ხარ ვგრე შეუბრალელებო! მართალი რომ ვთქვათ მხარგულაძე არ არის ცუდი „უჩინი“ კეთილი და ამასთანავე განათლებული კაცი, და თუ ჩემ მამას ჰკითხე, თავის დროზედ ვამიდრდება და ამაღლდება კაცი, რადგან რაღაც ნოდნებს ეძებს და პეტერბურგში ბევრი ნაცნობებიც ჰყავს.

ირინე მერე?

სოფ. მერე ის, რომ არ უნდა გაჯავრო, გული უნდა მოუგო. დემრთმანი შენთვის ურიგო არ იქნება!

ირინე მაგს თავის მზემი თქვენ მაგას სრულებით არ იცნობთ, ეგ ისეთი ქარაფუტაა, რომ თავის ცოლს ქორწილს მეორედ დღესვე უღალატებს.

სოფ. მეტად გაუჯავრებიხარ, ირინე, მე შეგარიგებთ. ვეტყვი, რომ აღარ გაბედოს შენ წინ ცხვირის აწევა, როცა კარვით გაიცილოს, დამეთანამები, რომ მხარგულაძე სწორედ გულკეთილია. განათლებული, პატივსაცემია.

ირინე არა, ამ ცხვირბეჭკიას მე რაღაც „გუჯერანკა“ თუ მოახლე ვგონივარ. მეტად ბედნიერობს, მე ტათ.

სოფ. დღეს სულ სხვაფრად გეხედავო, აი ნახე თუ არა!

სცენა 2

ირინე და მხარგულაძე

მხარ. (სიცილით თავს უკრავს სოფიოს და ირინეს კი შირიდან ცოვად, თითქოს უნებურად თავს უქნეს. მიართმავს თაიგულს სოფიოს) მიკვირს კნი უნავ, ჩვენ შხამიან ქვეყანაში ასეთი სიტუტეფ როგორ იბადება!

ირინე (ახველებს) კნიაზს არ მოსწონს ჩენი ქვეყანა!

მხარგ. სოფიოს. ღმერთს გეფრცებით, ეს თქვენი ქვეყანა საქორეთი უნდა იყოს, აი დღესაც საშინელი ქორი გავიგონე, ისიც თქვენზე, რასაკვირველია, არ დავჯერე. აბა, რა დასაჯერებელია, რომ თქვენ ამ დღეებში პირდაპირ ქორწილი გქონდეთ და ირთავდეთ... არა, ვერცკი ვებღავ მოგახსენოთ, ვის გათხოვებენ ჩენი მექორეები.

სოფ. თავისთვის. ო, ამოსავარდნელია კეკელიავ, სხვის ირთავ და არც ეგ გინდა ხელიდან გაუშვას! მხარგულაძეს. მართალია კნიაზო, თქვენ არ გვამათ ეს ქორი, მაგრამ უკაცრავოთ არ ვიყო, უფრო თავს ხარი დაგეცემათ როცა ეგ ქორი ამ დღეებში გამართლდება.

მხარგ. სოფიოს. არა, მე თქვენი მჯერა, შეუძლებელია, რომ ის ქორი გამართლდეს.

ირინე სოფიოს. უბასუხე გულწრფელად! აღრე იქნება თუ გვან, ამ ბატონმა უნდა გაიგოს გულშემაწუხარი ამბავი.

მხარგ. სოფიოს არ მესმის ამ ქალის ლაპარაკი. ამიხსენით ნუ მკლავთ. სიხუჟა.

ირინე უკაცრავათ კი არ ვიყო, ბატონო, მაგრამ არც მე მესმის რატომ არ გჯერათ სოფიოს გათხოვება. განა თქვენ ყურებით ისე მობეზრდა ქვეყანა, რომ მოლოზნობას აპირებს?

სოფ. აჰ, ირინე, ნუ იცი მაგისთანა მკვანხე სიტყვების მირტყმევა. მხარგულაძეს. კნიაზ, ვთხოვთ მიუტევეთ, მაგრამ არა თქვენა ხართ და ნაშაფე. თქვენ ირინს უყურებდით როგორც უცხოს, არ ენდობოდით, არ გჯეროდათ, რომ ის ჩენი შინაური ქალია. ჩემი... შეგობარია, ჩემი დაა, აი ეხლა გიყურებს ის თქვენზე. ვალს ვიღით თქვენ უზღველობისათვის.





მხარე. ვგრძნობ, ვგრძნობ ჩემ თავს და-  
მნაშევით. მხათ ვარ ბოლიში მოვთხოვო, მაგ-  
რამ სოფიოს. სანამ გთხოვ ერთ წამს დამიგლოთ  
ყური, ორიოდ სიტყვა მინდა მოგახსენოთ  
ჩემათ თქვენი მასუხი გადსწყვეტს ჩემ ბედს  
გაიყვას სოფიოს.

სოფ. გასულას დრას ირინეს საწყალს რი-  
ლატის იმედი აქვს.

სცენა 3

ირინე შემდეგ ფეთიანძე

ირინე უეუჯებს გამსულელ მხარეკლძეს; თა-  
ვისთვის შენ ჩემო პატროსანო კნიაზო, ოინ-  
ბაზი ბძანდები, მაგრამ მე უარესი ვარ: ცოტა  
დამაცადე და თავსაც გაგაბამ მახეში. დაფი-  
რდება მაგრამ ჯერ ეს პატივცემული მამა  
უნდა გადავრიოთ. ჯერ ტუტუცები უნდა გა-  
ვაგიჟოთ, რომ თან ქვეანებიც ჩავითრიოთ.

ფეთ. შეშოდას ს.დ არის სოფიო?

ირინე მხარგელაძესთან სეირნობს ბაღში.

ფეთ. ოპ ღმერთო, კიდევ მხარგელაძეს-

თან? კადევ იმ ცეტთან?

ირინე იმ ს ქორწილი როდის არის?

ფეთ. ვინ იმის:

ირინე მხარგეოაძის, მხარგელაძის.

ფეთ. რა ვატი ქალო, ჩემ სოფიოს ხომ  
ბამბაშვილზე ვათხოვებ.

ირინე აი მხარგელაძემ მოართვა სოფიოს  
თაიგული, წავიდნენ ერთად. საჩუროხლოდ,  
უეჭველად თავიანთ ქორწილზე ჩუროხლობენ  
და თქვენ კი მიბრძანებთ, ჩემ ქალს მხარგე-  
ლაძე კი არა, სხვა ერთავსო.

ფეთ. არ ვიცი, ღმერთმანი ეს ცეტი  
მხარგელაძე რას ამტეხია, არ მომეშეება ის  
ვაცლახის. ღმერთი არ გამიწყრება თავს  
გაუტებს.

ირინე არა მაგით არა გარიგდება რა. სოფიოს  
უყვარს ის.

ფეთ. სიყვარულს ვუჩვენებ იმ საძაგელს!

ირინე ნუ შეოთავთ, სოფიო მართილია.

აბა თქვენც გასინჯეთ მხარგელაძე ახალგაზდა  
ლამაზი, განათლებული კაცია და თქვენი ბამ-  
ბაშვილი კი სულთა ბამბის ტომარასა ჰგავს,  
დაღმეჭილი ასი წლის ბებერია: რით უნდა  
შინამოვნოს თავისი ცოლი?

ფეთ. მაგის ნუ ამბობ ქალო, უეჭველად  
გაგწყრება უეჭველია, შენ აგიუბ შენ ქალიც  
ირინე არამ, ღმერთს გეფიცებიან ჩემგან  
გაგიყება რა საჭიროა; თითონ ის ყმაწვილი  
აგიყებს თავის ქკულით და ხერხით.

ფეთ. აი დაწყველოს ღმერთმა. ის ეშ-  
მაკი, აღარ შემოუშვებ შენ, კარზე თოფებით  
დავსყენებ კაცებს.

ირინე საჭირო არ არის ბატონო, ყალმა-  
ყალი და დავიდარაბა, უმაგისოთაც შეგიძლ-  
იან მოიგეოთ მხარგელაძე, თუ შე დამიგლ-  
ებთ ყურს.

ფეთ. თუ რამე წამალი იცი, მითხარ და  
გაათავე, მე კი ლამის ჩემი დამემართოს.

ირინე ხომ იცი, რომ მხარკელაძე უგ-  
ულო კაცია და თქვენი ქალის სიყვარული  
იმას არასოდეს არ გაგიყებს. არც ისე მზეთ-  
კაცი უნახავი რამ არის სოფიო,

ფეთ. არა, სოფიოს რა უჭირს! ვერვინ  
იტყვის იმაზე გონჯიაო, მაგრამ ეს კი მართა-  
ლია, ის გასაწყვეტი მხარგელაძე უგულო  
უნდა იყოს, დაჰლუპავს ჩემ სოფიოს.

ირინე ესეც ხომ იცი, რომ ეს სოფიო  
ერთავს იმის მზითვისათვის.

ფეთ. რასაკვირველია; თითონ, მართალია  
ახალგაზდაა, განათლებულია, კნიაზია, კარგი  
გზა ექნება როდისმე, მაგრამ სანამ შიშველ-  
ტიტველია და ჩემი სოფიოს მზითევზე შერჩ-  
ენია თვალი.

ირინე გამოუცხადეთ, რომ სოფიოს  
მზითვს არ აძლევთ.

ფეთ. არ დამიჯერებს ის დაწყველილი,  
არ დაიჯერებს. მაშ ვის შევცემ ქონგბს?  
ვინა მყავს სხვა? კანონით ყველა ჩემი მამული  
იმას ერგება, მარტო იმას!

ირინე მაშ დამიგდეთ ყური, ერთი ოინი  
უნდა მოგახსენოთ.

ფეთ. ჩქარა, თუ ღმერთი გწამს, ჩქარა-  
ამ კვირია მინდა გავათავო საქმე. მეშინიან  
ბამბაშვილი არ წავიდეს ხელიდან.  
ხომ მომურნე ბევრი მყავს ბევრნი უმსაღებ-  
დნენ იმას ქალებს. აჰ, ნეტავი ამ კვირია გავა-  
თავო საქმე

ირინე ამ კვირია კი არა, დღესვე გავათას





საქრებულო  
საქრებულო

ვით. თქვენ ღარიბათ უნდა უჩვენოთ თავი მხარგელადეს.

ფეთ. მერე როგორ დავაჯერო, რომ გლახა ვარ. ეშმაკია არ დაიჯერებს.

ირინე მე ტყუილათ ქალაღი მომეცით, მითომ თქვენ ჩემი მამის გმართებთ ათასი თუ მანი და ეხლა მე თქვენგან ვთხოვლობ.

ფეთ. მაგნაირი ოინბაზობა ვის გაუგონია სასამართლოში!

ირინე სასამართლოში? ღმერთმა დამითაროს! აქ მოვახდენ მაგ საქვს, თქვენ მართო ჩქარა დამიწერეთ ქალაღი

ფეთ. ცოტა სიჩუმიან შემდეგ. აბა მითხარ, რა დავწერო ირინე დასვამს სკამზედ და კხუჩულებს. ფეთიანიძე სწერს ეხლა შენც დასწერე რომ ათასი თუმანი გმართეთ ჩემი ერთი მეორეს გაათბილებს ირინე სწერს ქაღალდს, გადასცემს ფეთიანიძეს და მის მაგიერ გამოართქვს სხვა ვექსილს

ირინე მხარგელადის წინ მოვიტხოვ თქვენგან ფულს და დავაპირებ სასამართლოში ჩივილს.

[გაგრძელება იქნება]

გ. თუმანიშვილი

**მომსინე გული**

მე სანთელი ვარ, გულ-ცაცხლანნი, თაღს ნარკუ სოფლის მახათობელი, ცა არის ჩემი სულის ჩამდგმელი, ჯედაშიწა კი ღვიძლი მშობელი. მათსა წიაღში დავიარებ, მე უცხოელი, გახმე ეული, არა-რა მტკივან, მაგრამა ვკვანესი, ვით ზვადმეოფი, საშუარ სხეული. რათ არა შეითხამთ, თქვენთვის წამებულს, ტანჯვა ვაგებით რათ ვიარებ, რისთვის დავდივარ მარად მწუხარედ, ან რისთვის მსევს გულში იარები? იქნებ გგონიათ არა მაქვს ბნა, ანუ საშობლო, სასლი და კარი, გულ ჩათხრობილსა, სევდით მოცულსა, რამ არ მშობდებო ცრემლები მქარი! ვერ მიხვედრინდნართ, ჩემო მტანჯველნო, ამ საიდუმლო გულის ძეგრანსა, მიტმაც არის, რამ ეურს არ უგდებთ, ჩემ მწარ სიმღერას, ჩანვის ვლერასა. თქვენთვის იტანჯვის ცოდვლი გული, თქვენთვის ატევიას მას მწუხარება, იმისთვის სტურაკს მწარე ბაღდაშში, რამ მოგიბოვოთ თქვენ სიტკბაება. რა ვქნა არ გქსმით ზღვა გულის დეღვა, არც აღმურთება, არც დაწყნარება,

თქვენ იმას დახვრამთ უმეგრებითა, ის კი თქვენთვის კვენის და კვდებო, ის მაინც თქვენთვის მედგრათ იბრძოლებს, ვერ შეაძინებს შას მწვავე წელუფი, ის ბერს აიტანს თქვენგანით წამებას, რადგანაც ქვიან ზოქტის გული.

გ. შინატხელი

**ს ა ნ ა თ ი მ ა**

სიცოცხლე ჩემი

რად ღირს, სამშობლოვ, ოდეს გიციქერის შეილი შენი, ვით გერი დედას? ირანება სასტიკი მტერი შენს დასარბევად ძენი შენი-კი ჟამსა მიიმესა გვერდსა გივლიან. როგორ ვიცოცხლო სამშობლო, როგორ გიციქრო, ოდეს ქართველთა დაგივიწყეს მშობელი დედა? დაჰგმეს აკვანი, რომელიც გედგა მათ აღსაზრდელად, ძუძუი შენი, საზრდო ერისა სულ დაივიწყეს. რა ვქნა სამშობლოვ, ვის მოეუწოდო, რომელს მივმართო? სატანისებურ ხარხარებენ აქა-იქ შენზე...

რა ყოფა იქნეს ქართველთა ყოფა, თუ თაობიდან შენარჩუნე ულ შენს არსების გზას არასცდებიან, მტერს გადასცემენ? რა ყოფა იქნეს მათი ყოფა, თუ შენ არ იქნე თუ შენი ველ-მინდვრები მტერმა გასთელს?

ჰმფოთავს, გოდებს ვული ჩემი, შეძრწუნებული, ცრემლს ვღვრი მწარე მწარეს ნაკადულობით, მაგრამ ამითი გიშველი რასმე, მოგებმარები?

ნუ დაიფაროს შენი ცის გული შავი ღრუბლებით. ნუ ჩაჰქრეს შენი ჯვლავ ამოღული ის განთიადი, რომელიც არის ნიშუში მთლად გათენების საქართველოში, დე, მოკვდე მე, მთლად შეგეწირო წმიდა სამსხენერალოს! ცეცხლმა გენიამ მაქციოს ნაცრად, სანამ ვნახავ დე შენს გაჭირვებას! კრულ იყვეს შეილიბში, ვინც არ ვიშველოს ჟამსა მიიმესა საშინელსა, კრულ იყვეს ის თუ შენ ჩრდილო

მსუსხავ ქარისვან გადარჩენილი სამხრეთის მწველ ცეცხლს, მიგცენ, მას შეგეერთონ. ერთიც ნუ იქნეს ცოცხალი, სანამ მტარვალი, ამას ნახავდეს შენ შეილე ბიდან. სულ გაისროსონ, არარად იქცენენ, თუ შენ მშობლიურ ჭერს, მტარვალს ტლანქ ხელთა მიკაბარებდნენ. უმჯობესია შენ სამშობლოვ, გახდე უშვილო, ქვრივი საწყალი, ვიდრე ნახავდე შეილთა სიბეცეს და ორგულობას. რა არის მვილი, თუ რომ იგი მშობელსა დაჰკომბს? თუ რომ შეილი დედას ზურგს უქცევს, მტერს მიუღებო?

მანამ დაქვრივიდი. დაუშვილდი შენ საქართველო, ანამ შეილთაგან ამ საშინელ დღეს განიცდიდე. და მაშინ ქვრივიმან და უპატრონომ შეილთ სამარცხვინოდ, კენი-დალაღნი გიზრის მწყობრი დაიშალევი, დაიშალე დღეს თუ ხვალ საქორწილოდ გამზადებულ და ნაცვლად წმიდა ქორწინებისა საჯილო თავი, შარავანდედის მაგიერად მოიბურევი, მოიბურევი და ძაძა ფლასებით შემოსილი, აღვირ-ახსნილ მტერს შენს მიწა წყალზე უწინააღმდეგოთ შემომშვებულს, უშვილ-უძირო, უჭირისრფლო, უპატრონო გადაეცე მას


დე, მოჰკვდეს ქართველი, სანამ ამ კრულ დღეს შესწრებოდეს.

გვგენი ფურცხვანიძე



### სრულის მომსახური

ვიცან მზის სხივად შენი თვალები ტკბილი აღერსით გამომდიმარი;  
 ედვასებ სწრაფი, მახვილხედ მჭრელი, ციგლაგი სამით მოციქობარი.  
 რა ვნახე იგი სწრაფად დაეგმონე, დაეკარგე უმაღ სულის სიმშვიდე,  
 ადვანდარ ზენად ხელი სალოცად და შენი ქება მონამ თავს ვიდე.  
 ისე მიუვარდი შენ იმ წამებში, ისე შევეტრფოდი შენ ქარვის სსხეს,  
 ვითომც ფუტკარი ვვითელ ბილაღას, ვითომც ზეზელს ნორს ც-ცხვისა ხეს.  
 ასე ამ გვარად გეტრფოდი მარად, გლოცავდი დღით და განტრობდი ღაით,  
 ნაწრობი გული დაუტანჯე სრულად და განვიტადე ტანჯვა სიამათ.  
 ცნების ქალო! წარვადენ დღები და თან წარიდეს შენი მშვენიერება;  
 ვვლარ გავიგე, თუ რად დამტოვე ან ჩემი ტანჯვა თუ რად გენება?  
 ადვილსე სევდით დატრფიდი გული ავანქვითინე მწუნსრე თვალნი,  
 შოწამულ გზასე შენსა ძებნაში ხსოვნად დაუტოვე ცრემლების კვალნი.  
 იმედ დაკრულს, ფიქრით დაქანცულს, უნუგეშებით სასოწარკვეთილს  
 შუქი შეთვისა და შეც დავადექ დიდ-წიხ ჰართა წმიდა გავეთილს: —  
 აგდექ და წაველ შორს, უდაბნოში, ცრემლით ადვანდარ მუნ მონასტერი,  
 ჭრანქათ დავედე სევდის კანდელთან გულიდან კვენსა ამონაქერი.  
 რწმენა ადვანთე სახთლად, სახათად, მარადისობა ქვეშ გარდუშაღე,  
 ენა ადვანთე ტკბილ საგალდობლად და მსხვეპლად გულიც შენ განცვალღე  
 ღოცულობს გული მას აქეთ ასე... ღოცულობს შენდა, ტანჯული რწმენით.  
 ისმენს ეგ, მაინც შენგინ სუვედურს. ისმენს სუვედურს ქალწულის ენით.  
 მიქელ დიანელი



ხანოვის ქარხნის მუშათაგან სცენის მოყვარეებს ამზადე  
 ბლა. უკანასკნელად წითელ გვარდიაში ჩეწერა, მოვალ-  
 ეობის აღსრულების დროს გაცივდა, მარტის 7 გარდ

### ს ი ზ მ რ ა დ

ბნელს დამეში მზის სხივები  
 ნეტარებით ცას აღდობდა,  
 და სიმახთადე, ტან-შიშველი,  
 თვის ზეწარზე თამ-შობდა!..  
 თითქოს ფიჩი იმ ზეწრისა  
 აღვყარდ ტასე ქანობდა,  
 და წანართში ღანდი მისი  
 ზღვის ტალღებში ბნობდა!  
 კვლის ბუჩქნარს იღონი  
 თავისუფლად დასტქერდა;  
 ბეგრჯერ ტანჯულ საქართველს  
 უღსენდა და უღერდა...  
 ახ, სიზმარში გინაცადი  
 ცხადღვ მაინც გვდიმსებოდა  
 და ჩემს მაამულს განაწმელს  
 ვეველა იგი მოპყენობდა

### იზანე (ვანო) იოსებისძე მხედლიშვილი

ცხრა ასიან წლებიდან დღემდე სახალხო თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა უანგაროდ. გაზ. „ამირანის“ რედაქტორად იყო. 1906 წ. შეადგინა „სახალხო კალენდარი“, საუკეთესო წერილებით მკობილი, რომლის გამოც ციხეში ჩასვეს, შემდეგ როსტოვა გადასახლეს. ხელოვნებით ასოთ ამწეობი იყო, განვითარებული და შეგნებული სამშობლოს მოყვარული მუშა. სწერდა წერილებსაც, განსაკუთრებით თავის ხელოვნის გაუმჯობესების შესახებ. დიდი მცოდნე იყო სასტამბო საქმისა: მან შემოაღებინა ამ ქალაქში სახმარი ახლა (სხვილი ხაზისა მცირე ზომისზე ჩამოსხმული). ბოლო ხანებ. ადელ-



# სამშობლოს მესაფლავენი


საუკუნეებით ნანატრ თავისუფლებასა და ბედნიერებას ვეწიეთ, მაგრამ ვაი, რომ ვერ მოვიხმარეთ და ვერ შევინარჩუნეთ ღირსეულად. ჩვენს სანატრელ თავისუფლებას და სამშობლოს კეთილდღეობას თვით ჩვენივე ძმები უთხრიან სამარეს ათასგვარი. ხულიგნური და ბნელი ზრახვა-მოქმედებით.

აქამდე გავიძახოდით: ჩრდილოელები გაუნათლებლები არიან, აოხრებენ თავიანთ ქონებრივ თუ გონებრივ განძს, აგეთი რამ, მაგალითად. კავკასიაში და კერძოდ საქართველოში არაოდეს არ მოხდებოდა და ამით გამაყობდით კიდევ. მაგრამ ვაი ასეთ ხანმოკლე სიამაყეს აი ასეთ გაცრუებულ იმედებს, ჩვენშიც შემოიჭრენ ის ბნელი ძალები, რომლის წყალობით ქუთაისის და სხვა ჩვენიმახლობელ ქალაქთ მცხოვრებნი საშიშ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნილნი. სრულა შინ, სრულა გარეთა ყოველგან ტყვიების ზუზუნი. ნეტავი ვის გვლავთ? ნეტავი ვინ არიან ეს ჩვენი დაუძინებელი მტრანი, ნეტავი ვინ არიან ეს ჩვენი სამშობლოს მესაფლავენი? გარეშეები თუ შინაურები? გარეშეებს კიდევ მიეტყვიან და სირცხვილი იმ შინაურებს, ზიზღი და კრულვა იმ ქართველს, რომელიც ხელს ითბობს სამშობლოს უბედურობის კოცონზე.

ჯარის კაცებო, განა იმიტომ შევსთხოვდით ზეციერს თქვენს მშვიდრბით დაბრუნებას, განა იმიტომ ვღვრიდით მღულარე ცრემლებს თქვენი სიშორის გამო რომ დაუბრუნდით სამშობლოს და არად აგდებთ მის აწიოკება-აოხრებას? იბრძოლეთ ძმებო, ბნელ ძალების წინააღმდეგ, რომ სამშობლოს შეანარჩუნოთ სანატრელი თავისუფლება. ნუ შეუერთდებით ბნელი ზრახვების გამაძლიერებელ რაზმებს, წმინდათ დაიცავით თავისუფლება და მისი გამაძლიერებელი ძალები.

შვიგენით თქვენი მოვალეობა: მეოცე საუკუნეში ქართველს არა ქართველობა არ შეშვენის. ძმებო, მოეციეთ სამშობლოს იმდენი, რამდენიც არ მოეშუცია თქვენთვის მას, რადგანაც ის ტყვეთქმნილი იყო და ვერ შესძლებდა ხასურველი მშობლობა გაეწია თქვენთვის. ძალა თქვენს ხელთ არის, ახალ-გაზრდებო, ბეჩავ სამშობლოს თავისუფლების დროშა თქვენ ხელთ არის, ასწით მალა, ააფრიალეთ: ის თავისუფლების სიმბოლოა, პატივი ეციეთ მას.

შეერთდით, გაძლიერდით, ამაღლდით, აყვავდით რომ აამაღლოთ სამშობლო თქვენი. სამშობლოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი სწორედ დღეს წყდება და ვაი მას, ვისაც ის არ შეუგნია. ან თავისუფლება, ანუ სიკვდილი, გაბატონებულ ძალების მონობა ჩვენ აწ არ შეგვიძლიან, რაკი შვიგენით თავისუფლების სიღაღდე მთელი მისი სიღრმე-სიგანით; დავაფასოთ ის სისხლი და ცრემლები რაც ჩვენ მამებს და ძმებს უღვრიათ სა



მშობლოს სიკვდილის ძიებაში, სიმშვიდეს ვიძლეოთ მხოლოდ მუშაობა, თავისუფლება, აი ჩვენი მოვალეობა დღევანდელ, მომენტში. სიმშვიდე არა მტრების წინაშე არამედ შინაურ ცხოვრებაში. ნუ ავირევით და ნუ ავრევთ, ისედაც აოხრებულ ჩვენს კერას. შორს თქვენგან სიბოროტე კერძო სარგებლობისათვის. ვრის მანვნ საქმის ჩადენა და სხვა ყოველივე ის რაც შელასავს თქვენს პიროვნებას და ეროვნებას.

კლავდია გაბუნია

## ნ შ მ ე ე ი

ლამის გუშაგი მთვარე ნარნარად დასთინათინებდა დედამ-წას...

ვარსკვლავები ციმციმებდნენ ფირუზ ცაზედ...

მთიდან ნელი სიო უბერამდა...

ამაყი ჩინრის ტოტება, როგორც ახალგაზრდა ქალის ნაზისხეული, ირხეოდა დღიურ ჭირვარამით გულგატეხილი წუთისოფლის არარაობითა და თუქსავატობთ დასწიულბუთი მკოსანი, გოლგოთაზე ჯვარზე იყო მიყუდებული და მწარე ფიქრებში გართულს თვალს ცრემლი არ შრებოდა.

მწარე ფიქრები არ ასვენებდა. მგესლავ სარივით გულში ჰქონდა ჩასმული მალლა ახხედა...

იალბუზის მწვერვალოდან პირიმზე მწარედ დაჰყურებდა ბარს...

მის თვალეში მწუხარება იხატებოდა.

—ტურფავ, მ თხარი, მანუჯეშე რით მე! შესთხოვა მგოსანმა.

მან ხელი ჩაიქნია და მწარედ მიუგო:

—რით განუგეშო, როდესაც მეც სხვისი საწუგეშებელი გავხდი, რითი განუგეშო როდესაც იქ დაბლა ჩემი ერი ამხედრებულა, იარადი აუსხამს, ბრძოლის ველზე გსულა, მაგრამ მოვლოვარე ფხა აყრილს მახვილს თავისივე ძმას უმიზნებს მკერდში! მტერი მოყვრისგან ვერ გაურჩევია!..

ამ სიტყვებით თავი გვერდზე მიიღო და თვლებიდან დაბადუბით ცრემლები წამოუვიდა.

—იმედი იქონიე! დღეება ჟამი და ერა შვინანებს თავის უგზურს საქციელს! გაისისინა ნიაჟმა...  
ჰ. ნეგრეში



# შარადა

გვაჩუქეთა მოვლად სახელი  
 ქართველთ განმანათლებლისა,  
 თავისი რწმენით რომელსაც  
 წინდის სახელი ეღიბა.  
 შემდეგ კავშირი მონახეთ  
 სიტყვით შემეგრებლისა,  
 მასთან სახელიც საჯახტო  
 ქალაქი ოსმალეთისა;  
 მხოლოდ სულ არა ამ ქა აქს  
 წინიდან ცხრა ანბანია  
 მოვსტაცოთ, რომ მით შარადა,  
 გამოვსტყვათ მისამგანია.  
 მამალა გათენების დროს  
 რაც იცის, იცით, გგონია  
 აი, ამ სახელს წინიდან  
 შეგსტოვოთ ასო ორია.  
 და იმ ხის, რომელსაც იცის  
 წყლის პირას უფრო ხარება,  
 რაც ქვია ბოლო წარცვლი  
 შარადს მოვხარება.  
 ისტორიისა ცოდნაზე  
 თუ მიგიწდებათ ხელია,  
 სომხეთის უძველეს ქალაქს  
 მიხვდებით უეჭველია.  
 და ამ ქალაქის სახელი  
 უკლებლად ისე გვჭირია,  
 შარადამ მატ-გსტემნი  
 რომ მოგვეცეს ორი პირია.  
 რომელნიც ერის გულისთვის  
 არ ზოგვენ დეაწლს და შარამასა,  
 არ გვანან იმათ ვინც მარტო  
 ფიქრობს სმა-კამა-ძლომასა

ვარდენ ვაფიანი



სახალხო სახელო თებერვლის 21 დახდევს ტ რამი-  
 შვილია „მეზობლები“ პიესა მომზადებული იყო და  
 კარგადაც ჩატარეს. აღსანიშნავია თ. გოგოლაშვილი  
 (ტასო), მ. ქილარჯიშვილი (კნ. კატა), მინდიაშვილი  
 (ირაკლი მარშანიძე), მეტრეველი (სოსიკო), გაცირიძე  
 —ეჭიმი გრუშნევსკი— ხომ გვირგვინია ამ პიესისა.

რომანიშვილი-დგებუაძისა—კნ. თამარი, მასხაშვილი  
 —მაია. ნინოანი —ოლინკა. ამ ახალგაზრდა სცენის  
 მუშაკ ქალს ნიჭი აქვს და იმედია, იმისთანა რეჟისორის  
 ხელში, როგორიცაა შათირიშვილი, ნიჭს გაიფართო-  
 ვებს და წინ წაიწეებს. სალაცია—ლუკა სუთიძე რომ  
 ცალიყო უკეთეს ტიპს შექმნიდა. ჯ. ბაურმა და ილი-  
 კო მენაბდიშვილმა ვერ იქმნა და ვერ მისცეს ერთმა-  
 ნეთს ხელი. მოისუსტებდნენ თავდგირიძე —ლუარსაბი  
 და ჭანკვატაძე —ეჭიმი ბილღერი. პიესას რეჟისორის  
 ენერგიული მუშაობა ეტყობოდა.

ღმერთო, როდის მოვა გონს ხალხი? ის და გვაკ-  
 ლდა, რომ წარმოდგენის დროს ირ-სით ვქრობაც კი  
 დაიწყეს. დრიანცელს ხომ დასასრული არა ჰქონდა.  
 შეიგნეთ რომ ყველა ეს ზნეობრივი დაქვეითების მოწვევა  
 გონს მოდით, გონს.  
 ნე—ლი

## წვრილი ქვევები

ქართული ოპერა „ქრისტინე“ (1-2 მოქი რ.  
 გოგიაშვილი), ქართ. მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის  
 მიერ დაიდგმის ქართულ კლუბში მარტის 17. ამავე  
 საღამოს საკონცერტო განყოფილებაში დაიდგმის ან  
 ყარაშვილის ნაწარმოებიდან —, ვეფხის ტყაოსნიდან“  
 ბალეტი. ლობთარად მოწვეულია ცნობილი ლობთარი  
 ნ. გ. ქართველიშვილი, გუნდს ამზადებს თვით რ. გოგ-  
 ნიაშვილი.

მგ ლობელთა გუნდი შესდგა თბილისის მილი-  
 ციანერთაგან გრ. სოლომონოვის თაოსნობით. გუნდის  
 ლობთარად მოწვეულია სახელ განთქმული ლობთარი  
 მელქისედეგ ნაკაშიძე. გუნდი ჩაეწერა ქართველ მუსი-  
 კოს-მომღერალთ კავშირში.

სახემწიფო თეატრი, რომელიც საოპეროდ ევ-  
 ლახიშვილს ჰქონდა აღებული, ამზანავობამ აიღო.

ქართველ მახიობთა კავშირის საბჭომ  
 დაადგინა: ა) შემწეობა აღმოუჩინოს ქუთათურ უზ-  
 შევარ-აშხან-გ-მახიობთ, რისთვისაც გადასდო 900 მ.  
 ქართ. სცენის ვარდაცვილ მუშაკთა სასაფლაოების  
 მოსაგლელოდ 300 მ. გ) ამ დიდმარხვაში სადღესის-  
 წაულო წარმოდგენა გაუმართოს დამსახურებულ მსა-  
 ხიობს ვიქ. გამყრელიძეს, ასეთივე წარმოდგენა გაემარ-  
 თება ვასო აბაშიძეს 40 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად.  
 არივე იუბილესათვის არჩეულია საგანგებო კომისია;  
 დ) დიდმარხვაში გამართოს უფასო პატრიოტული ხა-  
 სიათის წარმოდგენები ქართველ ჯარის კაცთათვის.

ხელოვნების დარგების განყოფილება დაარ-  
 სების პროექტი ხელოვნების სექციამ განიხილა და რა-  
 მტკიცა. ამიერიდან ხელოვნების სექციასთან იარსებე-  
 ბენ მუსიკის, მწერლობის, მხატვრობისა, ხუროთ მოძღ-  
 ვრების, ქანდაკო-ისა თეატრისა და ისტორიის ნაშთე-  
 ბის დამცველი კომიტეტი.

შალვა დადიანის სასცენო მოღვაწეობის 25  
 წლის თავი შესრულდა წელს (პირველად სცენაზე გა-  
 მოვიდა თებერვლის 2, 1893 წ.)





თეატრი და ცხოვრება  
1925 წლის  
15

ეროვნულ ფონდის გასაძლიერებლად ამ დიდ მარხვაში გაიმართება დიდი სადამო, ყველა სახელოვნო დაწესებულებათა თაოსნობით. მონაწილეობენ მწერალნი, მსახიობნი, მუსიკოსნი, მხატვარნი ლექტორნი.

ქართული კონსერვატორიის შესახებ კანონპროექტი ხელოვნების სექციამ განიხილა და მოიწონა. მომხსენებელი მელიტონ ბალანჩივაძე იყო.

ხელოვნებს სექციამ სპეციალისტების კომისიის მიანდო საქართველოს დროშისა და ღერბის შემუშავება, შუამდგომლობა აღძრა, მას დაეთმოს ქ. თბილისში დიდების ტაძარი სახელოვნო დაწესებულებათა მოსათავსებლათ და მხატვრულ გამოფენათა გასამართავ.

ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა მორიგი საზოგადო კრებები დაიწყო მარტის 7.

საქართველოს ჯარის მთავარ სარდლად არჩეულ იქნა სახელ განთქმული გენერალი და ცნობილი მამულიშვილი ვას. გაბაშვილი. მისმა დანიშნვამ საერთო აღფრთოვანება გამოიწვია. იგი უკვე შეუდგა სამსახურს.

მსახიობ ქალს ელო ანდრონიკაშვილს სასცენო მოღვაწეობის ათი წლის თავი წელს შეუსრულდა.

ვლ. შალიკაშვილის სადღესასწაულო წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. მიულოცეს დრამატ. საზოგადოებამ, მსახიობთა საბჭომ და სხ.

ქართული ლატარიის ბილეთები შეკვეთილია და მოკლე ხანში გასასყიდლად მზათ იქნება.

სპ. ქვარი ნი, ჩვენი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ამ ჟამად ავადა.

ახალგაზდა მომღერალი დავ. ლეჟავა მიიწვიეს სახელმწიფო თეატრის საოპერო დასში.

თამარა აფხაზიშვილს ოცი წელიწადი შეუსრულდა, რაც ქართულ სახ. სცენაზე მოღვაწეობს.

უგანთ. თავადი გიორგი შარვაშიძე, ცნობილი დრამატურგ-მწერალი, გარდაიცვალა. მის კალამს ეკუთვნის, სხვათა შორის, პიესები: „მომაკვდავნი“ კომლი უცეცხლოთ, გიორგი მესამე, ისტორიული ცხოვრებიდან, რომელიც სამი წლის წინად ქუთაისში რაოდენჯერმე დაიდგა და საზოგადოებებს ძლიერაც მოეწონა. იგი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი, აფხაზეთის ტახტის მემკვიდრე, ღრმთ განვითარებული, ევროპულ ენების კარგად მცოდნე, მდიდარი ბუნების პატრონი, ზდილი. საუკეთესო ქართველთაგანი, რუსთა მეფეთაგან შეუწყნარებელი, დაწვრილებით შემდეგ.

ვას. გ. მაჩაბელი გარდაიცვალა. იგი იყო ვექილი, დიდ მონაწილეობას ყველა ქართულ საზოგადო საქმეში. ქართული გიმნაზიის ერთი მეთაურთაგანი იყო 1836 წ. მწერვალედ მონაწილეობდა ამ გიმნაზიის შენობის ასაგებებ, სასოფლო-სამეურნეო ბანკის საბჭოს თავჯდომარეობდა, დიდი ამაგი დადიანის საზოგადოებრივ ხასიათის წერილებს ათავ. 72 წ. იყო.

რევოლიუციის წლის თ ვი თებ. 27 შესრულდა. ამიერ კავკასიის მთავრობის შედგენა, ევგენ გეგუკორს მიენდო.

კაკი წერეთელი რუსეთიდან დაბრუნდა. ზ ვი გერმანიასა და რუსეთს შორის ჩამოვარდა. ამიერ კავკასიის საზავო დელეგაცია აკ. ჩხენკელის თავჯდომარეობით თებერვლის 22 ტრაპეზუნდს გაემგზავრა ოსმალეთთან მოსალაპარაკებლად.

კულტურისა და შრომის კავშირის (ყოფილ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების) გამგეობამ დაადგინა განსვენებულ გ. დალაქიშვილის სახელზე ფონდის დაარსება და ამ ფონდით სტიპენდიანტების შენახვა ქართულ უნივერსიტეტში. ამიტომ კავშირის გამგეობა სთხოვს ყველა პირთ და დაწესებულებათ ვისაც სურს განსვენებულის ხსოვნას პატივი სცეს, შეწირულება გაიდოს ხსენებულ ფონდისთვის. შეწირულება მიიღება „საქართველოს, სახალხო ფურცლის-და ერთობის რედაქციაში.“ ამ ფონდისთვის შემოვიდა პარესა კონს. და გრ ზაქ. ქურდიანებისაგან—100 მან ნინო ალ. და ი-ს ზაქ. ქურდიანებისგან—100 მან. ნი ნო ილ. და გ. თ. ჟორდანიასგან—50 მან. ძულ 250 მ. დანარჩენ შემოწირულებასაც ბამოვაცხადებთ.

შემოწ რულება

შურ. „თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოთ მივიღეთ:  
ევგ ღორთლიშვილისგან 3 მან.  
ივანე სვიმ. კოლეღიშვილისგან შეკრებ. 122 მ.  
თევდ. გიორ. ლომჯანიძისგან 5 მ.  
შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით, რედ.



წლიურად ღირს 15 მ. ნახევარი წლით—9 მ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაში ბაზროს ქუჩა № 20, სახლი არჯევანიძის, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ხაზინის თავში, მეწიგნეების რიგზე. ფოსტით: Тифлис, ред. ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ „Иосифу Имедашвил

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედ შვილი